

# საქსენი

КОНТРОЛЬНЫЕ  
ЭКЗЕМПЛЯРЫ

16  
საქართველოს  
საბჭოთავო  
საგარეო  
საინფორმაციო  
სამსახური

გამოსვლის წიკი წელი, № 1433, აგვისტო, 1974, ღანი 20 კავიკი.

- ღანი როგორ მოხვდი უმაღლესში?
- ღანი პრობლემატურად რომ მოხვდა, იმიტომ მოხვდები!






გაცნობებთ, რომ გამოშვებულია საკმაოზე მეტი რაოდენობის ინდივიდუალური და კოლექტიური მოხმარების განსხვავებული ხას მსგებ: ყანწები, ჭიხვები, არხარები, ჭიქილები, კეჭლები, ჭიქები (ღვინის, ე. წ. „ჩაის“), თასები, ახარულები, თუნუკები, ხარწყები, ტაშტები, ლამპის შუშები (ღვინისა და ღვინის), სურები, დოქები, ლიტრები, კოცები, ბრიკები, „ბაჩოკები“, ქვიჩები, კანისტრები და მრავალი სხვ.

სუვენირები და მრავალი სხვა, მინისაგან, პრალისაგან,

ხისაგან, რქისაგან, რკინისაგან, პლასტმასისაგან, ნაირ-ნაირი ფერის პოლიეთერებისაგან და სხვ. სუვენირები ძვირფასი საჩუქარია მეგობრებსა და ახლობლებსათვის. ისინი შეგიძლიათ შეიძინოთ სალონებისა და თითქმის ყველა მაღაზიაში!

მიიღება დაკვეთები საკუთარი გამოგონების არასერიული წარმოების სასამისებზედაც!



სამთავრობო მინისტრის კანცელარია

### ვანო ჩხიკვაძე

## დრო გაფრენილა!..


დრო გაფრენილა!  
შეძახილი ყალბია ერთობ!  
„გასულა წლები!“  
დააყენე საშველი, მორჩი!  
სხვებს სისხლით ჰქონდათ  
გაპოხილი ამაყი მეგრები,  
შენ კი, ძვირფასო,  
ყველაფერი მოგართვეს ხონჩით!

მოგცეს ტრიბუნა  
(სამწუხაროდ, ვისმინეს კიდევ!)  
დროს ვერ შემორჩი  
(ვით შეაყდენ ჭარბავ ანტიკვარს?!)  
სად როგორ სჯობდა:  
პირქუშობდი,  
ლოკავდი,  
ბღღენიდი...  
შენ ქვეყნის ჭირი,  
მეგობარო, როგორ ატყვივა?!

„დრო გაფრენილა!“ —  
მართალია, ახლა ჩიხი,  
არ ჩაიტეხო  
მუშტისცემით ლავიწის ძვალი!  
გაყიდულია შენი სიტყვა  
და შენი რიხიც  
ნელ-ნელა ქრება,  
ქვეყანაზე უღვთოდ გამწყრალი!..

ვიცი, ძვირფასო,  
წინაპრები რომ გყავდნენ, ვიცი!..  
თანამოაზრეც —  
ერთი-ორი —  
გეზრდება, ვხედავ!  
ვინ ასწავლიდა,  
შენ რომ არა,  
მოწამლულ სიცილს  
ამ ბოროტე  
უგუნურ და პირობა ნეტქას!

მრგვალი თარიღი შეგის აუღო...  
(განათმა ვეამცხო!)  
ვინა, მიღროცვა შენ დაწერე!..  
უკეთეს მზრუნველს  
სად მონახავდი,  
მაგრამ ახლა რას შიშობი, ვიცი?! —  
პითხრეს საკუთარ  
ნეკროლოგზე მუშაობ, თურმე!



ნახ. მ. აბაშიძისა


— ხომ ხმლავ, ჩემო ფაჩო, ეს ბოსელი რა შასალ მიაქი-  
რაბა? ახლა ნახე, ჩვენს წყალბარულ რომს რამდენად მიყი-  
დის!

### იულიან ტუვიში (პოლონეთი)

#### ბრძენს უთქვამს

- ის კი არ მაკვირვებს, ასტრონომებმა რომ პლანეტები აღმოაჩინეს, არამედ, ის, — თუ როგორ გაიგეს მათი სახელები.
- რადიო შესანიშნავი აღმოჩენაა: ხელის ერთი მოძრაობა და — გაჩუმდება.
- პრინციპი: ფრინველები, რომლებიც უწინ ტელეგრაფის მავთულზე იხსდნენ, ახლა ანტენის მავთულზე გადავიდნენ.
- ბანსხვამება აქლემსა და ადამიანს შორის: აქლემს შეუძლია, მთელი კვირა იმუშაოს და არ დალიოს. ადამიანს კი — მთელი კვირა სვას და არ იმუშაოს.
- უთხარი ადამიანს, რომ ცაზე 978.301.246.993 ვარსკვლავია და დაგიჯერებს. მაგრამ, აბა, დაწერე: „ფრთხილად, შედეგებითილია!“ იგი მაინც თითით შეეხება და, რა თქმა უნდა, გაითხუბნება.
- იღბლიანი კაცი წყალში გადაადგე და კბილებში გარჩილი თევზით გამოვა ნაპირზე.

თარგმან. შ. ამირანაშვილი



— ამ დავისებულებაში, ეხყობა, ყველაფერი მოგვარებულია!

# ღრმადი თამაში



მდივანი გოგონას სასტვენის ხმაზე პარმენა ბურთი თამაში შეიყვანა. ბაღის იქით ექვსი თანამშრომელი თავგანწირული ნახტომით ერთდროულად მოსწყდა ადგილს დირექტორის მიერ დარტყმულის ასაღებად. ბურთს შიკრიკი დაეპატრონა. ავქსენტის, დირექტორის მოადგილეს, რომელიც სიფრთხილის გამო, უფროსის მხარეს თამაშობდა, შიკრიკის მაგიერ ეცვალა ფერი. სამაგიეროდ, ვეფხვივით დატრიალდა, არასაკობრივი ნახტომით აიღო ძლიერად დარტყმული ბურთი და, მორჩილად ჩაჩოქილმა, იქვე, ბადესთან, აუწია პარმენს ჩასარტყმელად. პარმენმა დაარტყა, მაგრამ... ბურთი ბადეს ეძგერა! მოადგილეს ქალარა თმის ძირებიც კი გაუწითლდა. მდივანმა გადაიხარხარა.

მეორე მხრიდან სამნეო ნაწილის მრუდე ხელი მოხვდა ბურთს. იგი ბზრიალით ჩაეშვა პარმენის წინ. მან აიღო და ადგილკომის თავმჯდომარეს გადააწოდა. ამ უკანასკნელმა ბიჭვინთის სავსურავით ძვირფასად მიღებული ბურთი სხვისთვის დასარტყმელად ველარ გაიმეტა და თვითონ დაარტყა. რისკმა გაუმართლა. ბუღალტრის ნახტომს შედეგი არ მოჰყოლია. ქულა! დირექტორის გამოხედვაზე ადგილკომი მიხვდა, რომ წელსაც შეინარჩუნებდა სანუკვარ ადგილს.

ასლა ავქსენტის შეიყვანა ბურთი თამაში, მაგრამ, სუსტად დარტყმულს, მძლავრი უკუდარტყმით უპასუხა შიკრიკმა და პარმენმა, რომლის მისამართითაც ბურთი წამოვიდა, განძრევაც ვერ მოასწრო, რომ ქულა დაკარგული იყო, ხოლო საშველად ვადამხტარი თანამშრომლები მის ირგვლივ კალმახებივით ეყარნენ. დირექტორმა ცერად გადახედა მოადგილეს. „დაბერდა!“ — გაიფიქრა მან. მოადგილემ, თავის ცხოვრებაში პირველად, ვერ გაიგო დირექტორის წარბის შეთამაშების ნამდვილი მნიშვნელობა, სიტუაცია თავისებურად შეაფასა და ელვისებურად მოწვეულ წუთშესვენებაზე ბუღალტერი დატუქსა:

— ვერ გააჩერებ მაგ შლეგს?!  
 — არ ჩერდება, თამაში მინდაო.  
 — მე რე, სათამაშოდ ვართ აქ ჩამოსულნი?!  
 — ეგ თქვენ იკითხეთ, მე რა მენაღვლება, რას ვკარგავო.  
 — მაგას თუ არ ენაღვლება, შენ რას ფიქრობ?! იცოდე, თუ არ ალაგმე, მსხვერპლი იქნება!..  
 თამაში გარდატეხა მოხდა.  
 ბურთი ახლა ბუღალტერმა ჩამოაწოდა. მან ისე გამოიანგარიშა, რომ იგი ოცდახუთმანეთიანივით უნდა შესრილებოდა ხელებში პარმენს, რაც არ გაპირებია, ვინაიდან მსგავს ოპერაციას პირველად არ ასრულებდა. დირექტორმა ბურთს გაუთამაშებლად დაარტყა, მაგრამ... აქ მოხდა ისევ გაუთვალისწინებელი: მიუხედავად გაფრთხილებისა, შიკრიკი იმდენად გაკადნიერდა, რომ მაინც ახტა და ხელიც კი შეუშალა დირექტორს ჩარტყმაში. ამან ორივე გუნდის კანონიერი აღმოფოთება გამოიწვია. რამაც დაუყოვნებლივ იჩინა თავი თამაში. პაერში დალატის სუნი დატრიალდა: საკუთარი გუნდის წევრები შიკრიკის წინააღმდეგ ძირგამომხრებელ მუშაობას ეწეოდნენ და ვირტუოზობამდე ასული რევერანსებით თავდაუზოგავად


ეხმარებოდნენ მოწინააღმდეგეს. ცხოვრებაში ახალფეხშედგმული შიკრიკი ამან მთლად გადარია. დირექტორის მოადგილემ, როგორც ჩანს, ჯეროვნად ვერ შეაფასა ის ახალგაზრდული შეპართება და მორალურ-მატერიალური უპირატესობა, რაც შიკრიკს უფლებას აძლევდა ასე გაბედულად ემოქმედნა.

— არ ჩაგვიშალოს ღონისძიება მაგ ღლაპმა! — გადაულაპარაკა ოფლად-გაღვრილმა ავქსენტიმ ადგილკომს.  
 — აბა, კაცო?! მე რე, იცი, რა დამიჯდა?  
 — მაგ სულელს ჰგონია, იმიტომ გამოვლახე კლდე-ღრე, რომ მაგასთან ერთად მეხტუნავა? ვაი, მაგის პატრონს! — დაუმატა ბუღალტერმა.  
 — ასე თუ გაგრძელდა, შეიძლება, მართლა ჩვენ მოვიგოთ. მაშინ? — შიშით იკითხა სამნეომ.  
 — ვერ ვადამირჩებთ ცოცხალი! — დაიქანდა ავქსენტიმ.  
 — დღეს რომც გადავრჩეთ, ბატონო ავქსენტი, მაინც სულ შიშში უნდა ვიყოთ, თუ შიკრიკად დარჩა.  
 — მაგას მართლა ჭრაც უნდა მოკუხერხოთ!  
 — მაგის წამალი მე ვიცი! რას ვუხამ, იცი? ერთი კარგად დავაწინაურებ და ერე წავიდეს და ურტყას „ტობაკები“.  
 თამაში კულმინაციას მიაღწია.




მხოლოდ ავქსენტის მიერ დამატებით მიღებული ვადამპრელი ზომების შედეგად (შიკრიკი მოედნიდან გააძევეს) იქნა ლიკვიდირებული დამარცხების რეალური საფრთხე. თამაში დამთავრდა მშვიდობიანად, დირექტორის ვუნდის სასარგებლოდ, თუმცა ამას არავითარი გავლენა აღარ მოუხდენია დირექტორის ურყევ დადამყვეტილებაზე: ადგილკომს მითითება მიეცა, მოადგილის პენსიაზე გადასვლასთან დაკავშირებით, საზეიმო ცერემონიის საზღადის შესდგომოდა.





„ერთი წვეთი თავფა“



„გაბაჯანას ქოშები“



„მუსტაფას ვირი“

# პერიანგული

პატივცემულ ნიანგო! წავიკითხე შენს ფურცლებზე გამოქვეყნებული იუმორისტული მოთხრობა „ლიცენზია“ და, ცოტა არ იყოს, ნაწყენი დავრჩი: ავტორს სევასტი ცამდე მართალი გამოწყავს, მე კი — ქვეყნის ამომგდები და დამქცევი.

მე, ძირითადად, ტყის ხილით — პანტიო, მაკალოთი და წაბლით ვიკვებები. თავლიც ძალიან მიყვარს, კარგად მოგვხსენებათ. ადრე გაზაფხულზე, ზამთრის ძილისგან ახალგამოღვიძებულს, მართალი ვითხრათ, კარგი მადა მაქვს. სწორედ მაშინ ტყეში საკვების მოპოვება ძალიან ჭირს. ჰოდა, აბა, რა ვქნა, თუ შიმშილისაგან შეწუხებული ხანდახან შევცოდავ და შინაურ პირუტყვსაც გავკარავ ხოლმე ხელს? ისე, სევასტი და მისი მსგავსნიც არ არიან მართლები: გაუმგებენ ტყეში უპატრონოდ ძროხას, მიახებებენ თავს და ელოდებიან სალამოთი რძეს არხეიხად. ტყეში უმეტესად უფროდ გაშვებულ ძროხას ან მგელი შეჭამს ან დათვი, აბა, რა იქნება? იშვიათად, რომ მე სახლში ვინმეს ძივუხტე და იქიდან მოვიტაცო საქონელი. ან გაგიგიათ როდესმე, დათვი ადამიანს უმიზეზოდ გამოკიდებოდეს და გაეფუჭებინოს? ცოდვა გამხელილი სჯობს და, ჭყინტი სიმინდიც ძალიან მიყვარს. აბა, ვკითხოთ სევასტის, არ უყვარს ჭყინტი სიმინდი? თუ საქმე საქმეზე მიდგა, ამ ქვეყნად არც მე უნდა მქონდეს სევასტიზე ნაკლები უფლებები. ეგეც ბუნების გაჩენილია და მეც. რა? მაგას ჰყავს ცოლ-შვილი სარჩენი და მე არა? ეგ წავა დილით ბაზარში, იყიდის ხორცს, სიმინდს, თავლს და მიიტანს სახლში. თანაც, ხორცი გაყინული არ მინდა, ახალი უნდა იყოსო. გამოიტანონ, ძმაო, ტყეში ხორცი, სიმინდი და თავლი გასაყიდად. მეც გადავიხდი კილო ხორცში ორ მანეთს და არაფერი იქნება სადავო.

ისე, როგორც ადამიანებში, ჩვენშიც არიან უსინდისოები.

მე იმათზე არ ვლაპარაკობ. ასეთებს, რაც დროზე მოვიშორებთ თავიდან, ისა სჯობს. ჩვენ, პატიოსნები, შიმშილისაგან შეწუხებულები, წელიწადში ერთ ძროხას თუ შევჭამთ, ამიტომ უნდა მოგვდგნენ და გაგველიტონ? კიდევ კარგი, ცხვარიჭამიაში აღარა ვცნობობთ და სადალაც მთებში ვართ გადაკარგულები. გაგვიფრთხილდნენ, ძმაო, გაგვიფრთხილდნენ, თორემ მათი შვილიშვილები ზოპარკშიაც ველარ გენახავენ და სიტყვა „დათვის“ ახსნა-განმარტებას ლექსიკონებში დაუწყებენ ძებნას. ადამიანებს ის არ ეყოთ, შირაქში ქურციკი რომ მოსპეს და წამლად ერთსაც ველარ ნახავთ? ქურციკი რაღას უშავებდათ? ისიც ძროხას სტაცებდათ? კიდევ კარგი, ამ ბოლო დროს, ადამიანებში ბევრი ჩვენი მეგობარი აღმოჩნდა, თორემ რამდენიმე წელიწადში დათვის, მგლის, ირპის, ჯიხვის, არჩვის, შელისა და სხვათა სახსენებელიც აღარ იქნებოდა ქურციკით.

ღრმა პატივისცემით თქვენი მეგობარი დათუნა.

ეს წერილი თქვენთან გამოვატანე  
ილო მუნჯიშვილს

# სეა-ჭემა — ღიღალ შესარბი



მინდა, დაგლოცოთ, მკითხველნო,  
 ბედნიერების წადილით:  
 ღმერთმა გიმრავლოთ ქორწილი,  
 ძეობა, ლხინი, ნადიმი!  
 არ მოჰკლებოდეს თქვენს სუფრას  
 პური და ღვინო ალალი!  
 შეგერგოთ ლუკმა ყოველი,  
 ვით უკვდავების წამალი!  
 გიმრავლოთ ჭერქვეშ სტუმარი,  
 ატკობდეთ მოძმეს გულიანს, —  
 „სმა-ჭამა — დიდად შესარგი,  
 დება რა სავარგულია?!“  
 მართლაც და, ჩვენშა რა დაღვეს  
 ლხინსა და ქორწინებასა?  
 თუმცა მე სხვა მაქვს სათქმელი,  
 ვიტყვი, თუ მომცემთ ნებასა:  
 ტრადიცია და ადრე  
 ქართველს სულ ჰქონდა საჭეები,  
 მაგრამ დრო ითხოვს, გავწმინდოთ  
 შემორჩენილი ლაქები!  
 აი, ლხინს ვიწყებთ, პატარას, —  
 ასორმოცდაათ კაციანს.  
 ათი ღლით ადრე იწყება  
 მზადების ოპერაცია!...  
 ოც სულზე ერთი ხბო იკვლის,  
 ათი ერთ ბურვაკს იწირავს,  
 სამ სულზე — ერთი დედალი,  
 ერთ სულზე — ერთი წიწილა;  
 საცივი ინდაურისა  
 და ჩაქაფული (ბატკანი), —  
 თითო ვეება მათლაფა  
 წილია თითო მათგანის.  
 ორ კაცზე თითო ხაჭაპურს  
 ვიანგარიშებთ, ცხადია!  
 სამ კაცზე ერთი ლავაში,  
 თანაც ღომი და მჭადია!

ახლა თევზი და ლობიო,  
 ყველი, მუხავე და მწვანილი,  
 ხილი და ტკბილი ნამცხვარი,  
 გულუხვად შემოტანილი.  
 თუკი წონაში ავიღებთ  
 სასმელსაც ნაირნაირსა,  
 ლამის ფუთამდე გამოდის  
 ულუფა თითო კაცისა.  
 ჰოდა, თუ დევი არა ხარ,  
 შეჭამ კი ამდენ სალაფავს?  
 ნადიმის შემდეგ იწყება  
 ნამდვილი დავიდარბა:  
 ზღვადდარჩენილი ხორავი  
 გულს გვირევს, ნაქეიფართა,  
 ნასუფრალს ვინდა იკადრებს?  
 იგი ვის უნდა მიართვა?  
 ამიტომ, ნაგვის ყუთებში,  
 ცვივა მწვადი და ხაშლამა,  
 ცხვარი, გოჭი და ქათამი,  
 შეუჭმელად რომ დამშვრალან.  
 ცვივა ხბო-ინდაურისა  
 მსხვილი ნაჭერი, ასობით,  
 ხიზილალა თუ სათალი,  
 „ვიჩინა“, ძეხვი „ასობი“.  
 ცვივა ყველი და მწვანილი  
 და პური ჩვენი არსობის.  
 გააქვს მანქანას, ნაგვისას,  
 ქვეყნის პურ-ხორცი, ნამუსრი.  
 სად არის მომჭირნეობა?  
 სად არის სინდის-ნამუსი?!  
 რომ არ შევბღალლოთ ქართული  
 მაგიდა, ნასათუთები,  
 მისით ჩვენ უნდა აღკვესოთ  
 და არა — ნაგვის ყუთები!

ბაიოზ შავერავი


ნახ. 3. კუტიანი



უტექსტო

ქ. 74

ნახ. 5. ქელეხსაშვილისა



უტექსტო



ნახატი ოქმების ავტორები:  
 ბი: მ. აბაშიძე, მ. ნიშნა-  
 ნიძე, ვ. კუცია, ბ. მეტრე-  
 ველი, ლ. ახათიანი, ნ. ქე-  
 ლეხსაშვილი.


საგამომცემო კომპანია: ზ. ბოლქვაძე (კ/მგ. მდივანი), ნ. ლუმაბაძე, ს. კალდუაშვილი, ნ. გულაშვილი (მხატვ. რედ.),  
 ბ. ნიშნაშვილი (მთ. რედ. მოადგილე) ნ. შველიძე, ბ. ფრცხვალაძე, რ. ჰელიძე, ც. საბარბაშოვი, ნ. ნინაბაძე,  
 ც. ზამინაშვილი, მ. კულაშვილი, მ. კულაშვილი, რუსთაველის პრესცენტრი № 42, ც. საბარბაშოვი, ც. საბარბაშოვი, ც. საბარბაშოვი, ც. საბარბაშოვი,  
 გამომცემლობა, ც. ბაღვაძე ასაწყობად 23/711-74 ფ. ზელოვანი, ც. ბაღვაძე,  
 ფიზიკური ნაგავი ფურცელი 1. სალარიზაციო-საბარბაშოვი თბილისი 1,4 ც. საბარბაშოვი, ც. საბარბაშოვი, ც. საბარბაშოვი, ც. საბარბაშოვი, ც. საბარბაშოვი,  
 თბილისი, ლინინის ქ. 14 ც. შიშკ. 2812. შპ 01248. ტირ 134.000. ც. თბილისი, პრ. რუსთაველი № 42, სატირიკო-იურიტიკის ჯურ-  
 ნალ «ნიანგი». ც. Издательство ЦК КП Грузии. Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.  
 ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

მთავარი რედაქტორი  
 ზურაბან ბაგვაშვილი

Индекс 76187

ინგლის-ესპანეთის უთანხმოებანი გიბრალტარის გამო გრძელდება. დიდ ბრიტანეთს, რომელსაც გიბრალტარზე მსხვილი სამხედრო ბაზები აქვს და კონტროლს უწევს მას, სურს შეინარჩუნოს ხმელთაშუა ზღვის კარის გასაღები. ესპანეთი კლიობს, ხელში ჩაიგდოს ამ სტრატეგიული პუნქტის კონტროლი.

ეროვნული  
გეოგრაფიული



საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა  
N 565  
30.VIII

თარღს პასაღები

ს. ბ. ლომიძე